მატჩი ლენინგრადში

ლენინგრადი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონი. 13 სექტემბერი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) – “დინამო” (თბილისი) 2:0 (1:0).

“ზენიტი”: ოლეინიკი, სუხარევი, დავიდოვი, გოლუბევი, ბულავინი, სადირინი, სტრეპეტოვი (კაზაჩონოკი), მაშინი, გრებენოუკო, მარკინი, ხრომჩენკოვი (ნიკოლაევი).

“დინამო” გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხიზანიშვილი, ქორიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. მაჩაიძე (რეხვიაშვილი), ყიფიანი.

მსაჯი: ვ. რუდნევი (მოსკოვი),

დუბლიორები – 0:3.

პირველ ტაიმში თბილისელები აშკარად ჩამორჩებოდნენ “ზენიტს” სისწრაფეში, ენერგიულობაში. მასპინძლები ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ გაეუმჯობესებინათ თავიანთი არასახარბიელო მდგომარეობა სატურნირო ცხრილში, ხშირად უტევდნენ და ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს. გოლის გატანის შესაძლებლობა მათ საკმარისად ჰქონდათ, რომელთაგან გამოყენებული იქნა მხოლოდ ერთი: 41–ე წუთზე დავიდოვმა შორი მანძილიდან დაარტყა კარში, გოგიამ ვერ მოასწრო რეაგირება და ანგარიშიც გაიხსნა.

შესვენების შემდეგ ინიციატივას ერთხანს კვლავ “ზენიტი” ფლობდა, შემდეგ დინამოელებმა გააძლიერეს თამაში, მე–60 წუთზე რეხვიაშვილის დარტყმა ოდნავ აცდა კარს, შემდეგ სახიფათო მომენტები შექმნეს ასათიანმა, გუცაევმა, მ. მაჩაიძემ, კვლავ ასათიანმა.

ლენინგრადელებმა შეძლეს ამ იერიშის მოგერიება. 73–ე წუთზე კი საპასუხო შეტევა განავითარეს და გრებენოუკომ მეორე ბურთი გაგზავნა “დინამოს” კარში. ამ ანგარიშით ზენიტელებმა შეძლეს მატჩის მოგება.

“ლელო”, 14 სექტემბერი, 1975 წ.